

აკაკი სურგულაძე





(1913-1991)



ოთარ ჯანელიძე

აჯაი სურგაყმაძე –
მუცხიური ლა მორჯანე

(დაბადებიდან 100 წლისთავისათვის)

თბილისი
2013



გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის, აკაკი სურგულაძის მეცნიერული ღვაწლი მის სამეცნიერო წოდებებსა და ჯილდოებშია ასახული. ბატონი აკაკი გახლდათ: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი. მას არც სამეცნიერო თუ სასწავლო-ადმინისტრაციული მაღალი თნამდებობები კლებია, სხვადასხვა წლებში ორჯერ იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი, ამავე უნივერსიტეტის საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის კათედრის გამგე, სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და სხვ. ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთიც კი საკმარისი იქნებოდა ცალკე აღებული პიროვნების ბიოგრაფიის მშვენიებად, მაგრამ ბატონი აკაკი არ ყოფილა არც რიგითი ადამიანი და არც რიგითი მკვლევარი. იგი ქართული საისტორიო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, სახელოვანი მეცნიერი და /გამორჩეული საზოგადო მოღვაწე იყო, რომელმაც თავისი შემოქმედებით ღირსეული კვალი დააჩნია ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარებას.

აკაკი სურგულაძე ჯერ კიდევ რუსეთის ცარისტული იმპერიის აღსასრულამდე, 1913 წელს დაიბადა, თუმცა აღზრდა, განათლება, სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მოღვაწეობა მას საბჭოთა პერიოდში მოუწია. მისი გარდაცვალება, როგორც ცნობილია, კომუნისტური ეპოქის დასალიერს დაემთხვა. ამდენად, ისტორიკოსის მთელი ცნობიერი ცხოვრება და შემოქმედებითი საქმიანობა ქრონოლოგიურად საბჭოური სინამდვილის წლებით იფარგლება. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ აკაკი სურგულაძის მეცნიერული მემკვიდრეობაც დროს გაჰყვა და წარსულში დარჩა?

ის ფაქტი, რომ დღეს საქართველოს აკადემიური საზოგადოება ბატონი აკაკის დაბადებიდან ასი წლის საიუბილეო თარიღს აღნიშნავს და ამით მეცნიერის ხსოვნას პატივს მიაგებს,



ცხადია, ზემოთ დასმულ კითხვაზეც უარყოფით პასუხად უნდა აღვიქვათ. შესაძლოა არიან ადამიანები, რომლებიც სხვაგვარად ფიქრობენ ან ასე არ ჰგონიანთ. მათ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის გიორგი გვაზავას მაგალითს შევახსენებდი: ცნობილია, რომ ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობის ერთ-ერთმა ჯგუფმა 1907 წელს თბილისში რუსულენოვანი გაზეთი „გრუზინსკაია მისლ“ დააფუძნა. ამ პერიოდული ორგანოს მხოლოდ ერთადერთი ნომერი დაიბეჭდა, რადგან ხელისუფლებამ მისი გამოცემა აკრძალა. გაზეთის რედაქციამ მთავარ მოთხოვნად საქართველოს არა სრული თავისუფლება, არამედ პოლიტიკური ავტონომიის მიღწევა წამოაყენა. ხსენებული ფაქტის გამო მოგვიანებით გაზეთის რედაქტორი გიორგი გვაზავა მიუთითებდა: „დაპყრობილ ერს იმხანად მეტის თქმა არ შეეძლო“.

იმაზე მეტის თქმა და გაკეთება, რაც აკაკი სურგულაძემ, მისმა თუ მომდევნო თაობის ისტორიკოსებმა საბჭოური რეჟიმის პირობებში მოახერხეს, ალბათ, შეუძლებელიც იყო. ეს აზრი მარტო მე არ მეკუთვნის. დავიმოწმებ მოკლე ამონარიდს ბატონი აკაკის ნეკროლოგიდან: ჩვენი უფროსი თაობა „გარეგნული კომპრომისების საფარქვეშ, სათუთად ინახავდა სამშობლოსა და ჭეშმარიტების სიყვარულის გრძნობას. ზეპირ ლექციებსა თუ დაბეჭდილი ნაშრომების სტრიქონებს შუა ახერხებდა მსმენელამდე და მკითხველამდე კრიტიკული აზრის მიწოდებას. მათი, ვინც მუდამ საშინელი საფრთხის წინაშე იდგა, მათი, ვისაც სიმართლის თქმა ეზოპეს ენით უხდებოდა, უდავო დამსახურებაცაა, რომ ეროვნული გრძნობა გადარჩა. სწორედ მათ მიერ შენარჩუნებულ და მოვლილ ფესვებზე აღმოცენდა შეუპოვარი ახალი თაობა“ („ვალმოხდილი კაცი“, გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1992 წ., 19 თებერვალი).

აქ ვერ ვხედავ აუცილებლობას, დეტალურად დავახასიათო ბატონი აკაკის ყველა ნაშრომის შინაარსი და დასკვნები. აღვნიშნავ მხოლოდ ერთ, ჩემის აზრით, მთავარ მახასიათებელს,



რაც საერთოა თითოეული მისი გამოკვლევისათვის. მშრალი ფაქტების აღმწერი ბევრი ისტორიკოსის ნამუშევრისაა. განსხვავებით, აკაკი სურგულაძის წიგნებში მოვლენათა მასშტაბური გააზრება, მასალის სიღრმეში წვდომა, საფუძვლიანი ანალიზი, განხილვა და განზოგადება სჭარბობს. სწორედ ესაა არსებითი, მკითხველს რომ გაიყოლიებს, გარდასულ ეპოქათა სულს შეაგრძნობინებს, მის ტკივილებში ჩაახედებს, ფიქრისათვის განაწყობს, აზრის გაცხოველებაში შეეშველება და გონიერი ქმედებისაკენ უბიძგებს. საისტორიო სფეროში მეცნიერული ნააზრევის ღირსება, ვფიქრობ, უფრო ამ პარამეტრით განიზომება და არა, რომელიმე კონკრეტული ფაქტის დადგენა-ინტერპრეტაციით.

სურგულაძეთა გვარი უცნობი არ არის საქართველოს ისტორიაში. მათი ბევრი წარმომადგენლის სახელი ამშვენებს ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის მატთანეს (პეტრე სურგულაძე, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი სიმონ სურგულაძე), ქართული მეცნიერების (იროდიონ სურგულაძე, ივანე სურგულაძე, აბელ სურგულაძე, ირაკლი სურგულაძე, მზია სურგულაძე, ნუგზარ სურგულაძე, კახა სურგულაძე...), ხელოვნების (ნინო სურგულაძე) აპარეზს და სხვ. სურგულაძეები დასავლეთ საქართველოდან, ძირითადად გურიიდან არიან, თუმცა მათ ფესვებს რაჭასაც უკავშირებენ. გურიის ერთ-ერთი ულამაზესი სოფლის - შემოქმედის მკვიდრი გახლდათ ბატონი აკაკიც. იგი ნესტორ სურგულაძისა და ნინა ჭანუყვამის ოჯახში მოველინა საწუთროს და აქვე გაიზარდა სამ უფროს ძმასა და ნაბოლარა დასთან ერთად. შემოქმედში გატარებული ბავშვობა, აქაური შესანიშნავი მონასტრისა თუ მიმდებარე სანახების განუმეორებელი ხიბლი იმდენად ღრმად ჩარჩა მომავალი მეცნიერის მეხსიერებაში, რომ მას სიცოცხლის ბოლომდე თავის მშობლიურ კუთხესთან კავშირი არ გაუწყვეტია.

აკაკი სურგულაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღზრდილია. იგი 1934 წელს შევიდა და 1939 წელს წარ-



ჩინებით დაამთავრა ამ უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. აქვე ჩაირიცხა ასპირანტურაში და, ვიდრე 1941 წელს მეორე მსოფლიო ომის ფრონტზე გაიწვევდნენ, პროფესორ მიხეილ პოლივექტოვის ხელმძღვანელობით იღრმავებდა ცოდნას საისტორიო მეცნიერებაში. დემობილიზაციის შემდეგ ისევ უნივერსიტეტს დაუბრუნდა. ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა სსრკ ხალხთა ისტორიის კათედრის წევრად მიიღეს. ბატონმა აკაკიმ 1949 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1958 წელს სადოქტორო დისერტაცია. უნივერსიტეტშივე მიენიჭა პროფესორის წოდება და არჩეულ იქნა სსრკ ხალხთა ისტორიის კათედრის გამგედ. 1953-1956 და 1972-1976 წლებში იყო ისტორიის ფაკულტეტის დეკანი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. 1974 წელს აკაკი სურგულაძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს.

თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა აკაკი სურგულაძემ ახალი და თანამედროვე ისტორიის კვლევას დაუკავშირა, უფრო კონკრეტულად, მეცნიერის ინტერესების სფეროში მოექცა საქართველოს, სამხრეთ კავკასიისა და რუსეთის ისტორიის კარდინალური პრობლემები, რომლებიც ქრონოლოგიურად XIX საუკუნიდან მოყოლებული XX საუკუნის პირველი ოცწლეულის ჩათვლით პერიოდს მოიცავდა. ძირითადად, ეს იყო რუსეთის იმპერიულ ორბიტაში მოქცეული საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის, საზოგადოებრივი აზროვნების, სოციალური და პოლიტიკური განვითარების, რევოლუციური მოძრაობის ისტორია. ეს ის თემებია, რომლებიც დაკავშირებული გახლდათ საბჭოთა პოლიტიკური რეჟიმის მსოფლმხედველობრივ საყრდენებთან, რის გამოც მუდმივად კომუნისტური ხელისუფლების გაძლიერებულ კონტროლს იყო დაქვემდებარებული. კვლევის მეთოდოლოგიასა და თეორიულ საფუძველს, როგორც ცნობილია, ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმი განსაზღვრავდა, ალტერნატიული ხედვა თუ გააზრება იკრძალებოდა და ისჯებოდა კიდევ. ამ გარემოებითაც უნდა აიხსნას, რომ XX საუკუნის 40-იან წლებში, როდესაც ახალგაზრდა

მკვლევარმა აკაკი სურგულაძემ სამოღვაწეო ასპარეზზე შეაბიჯა, ხსენებულ პრობლემატიკას ბევრი მისი კვლევა გაურბოდა, ძველ და შუა საუკუნეების ისტორიაში მუშაობას ამჯობინებდა. საკითხთა დასახელებული წრე ჩვენს ისტორიოგრაფიაში სუსტად იყო დამუშავებული. აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სიტყვით, „სახელმწიფოებრიობისა და დისტანციის მცდარი თეორიების შედეგი იყო, რომ ქართველ ისტორიკოსთა კოლექტივში XIX-XX საუკუნეთა საქართველოს ისტორია უგულვებელყოფილი იყო“.

ახლო წარსულის ამ მონაკვეთზე ძირითადად პარტიული და სახელმწიფო მუშაკები - მაღალ პოლიტიკურ თანამდებობაზე მყოფი ბოლშევიკ-რევოლუციონერები წერდნენ (მაგალითად, ფილიპე მახარაძე). ამდენად, ბატონი აკაკის უშუალო წინამორბედებად ქართულ საისტორიო მეცნიერებაში მხოლოდ ორიოდე მკვლევრის დასახელება შეიძლება. მათ შორისაა სიმონ ხუნდაძე და გიორგი ხაჭაპურიძე. ცალკე უნდა აღინიშნოს ნიკო ბერძენიშვილი, რომლის 1949 წელს დაწერილი ნაშრომი „საქართველო XIX საუკუნის პირველ მეოთხედში“ (დაიბეჭდა ცოტა მოგვიანებით) ერთგვარად გზის გამკვალავიც აღმოჩნდა ეროვნული ისტორიის ახალი პერიოდის შესწავლისათვის.

აკაკი სურგულაძე ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც წარმატებით განაგრძო ბერძენიშვილის დაწყებული საქმე და მნიშვნელოვანი წვლილიც შეიტანა საქართველოს ახლო წარსულის მეცნიერულ კვლევაში. სხვათა შორის აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის შემოქმედებითი პორტრეტის დახასიათებისას ბატონი აკაკი იგონებს: „მახსოვს 1960 წელს ბატონმა ნიკომ თავის სამუშაო კაბინეტში დამიძახა. მისი საუბარი შეეხო ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბების საკითხს, მოკლედ განმარტა, თუ როგორ ჰქონდა წარმოდგენილი ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი. გამანდო, რომ იგი მუშაობდა ამ საკითხზე და წინადადებაც მომცა XVIII საუკუნემდე ამ პრობლემას მე მოვუვლი, XIX-XX საუკუნეები შენთვის მომინდვია და შრომის ასეთი განაწილებით შევქმნათ



ერთი მთლიანი მონოგრაფია ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის პრობლემაზე. ასეთ გამოჩენილ მეცნიერთან თანავტორობას ვინ არ ინატრებდა! ამ წინადადებაში აღმაფრთოვანა და შევუდექი კიდეც მუშაობას. (აკაკი სურგულაძე „არდავიწყება მოყვრისა...“, თბილისი 1986, გვ.38).

ბატონი აკაკის ყოველი ნაწერი თავისებური ხიბლით გამოირჩევა, რასაც ავტორის უზადო ქართული და დახვეწილი სტილიც განაპირობებს. ღვთით მომადლებული ნიჭის გარდა, ვფიქრობ, ეს იმის შედეგიც უნდა იყოს, რომ მეცნიერმა გარკვეული ფილოლოგიურ-ჟურნალისტური წრთობაც გაიარა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში სწავლის პარალელურად, იგი ერთხანს გაზეთ „მუშის“ ლიტ-თანამშრომელი იყო, მუშაობდა საქართველოს რადიოკომიტეტში ლიტერატურული რედაქტორის თანამდებობაზეც, მეორე მსოფლიო ომის წლებში კი ფრონტზე გაწვეული ახალგაზრდა ისტორიკოსს სამხედრო ნაწილის გაზეთის რედაქტორის მოადგილეობა ჰქონდა დაკისრებული. მიღებულ გამოცდილებას, ცხადია, უკვალოდ არ ჩაუვლია.

პროფესორ აკაკი სურგულაძის ნააზრევის კითხვისას, აქ შინაარსზე არას ვამბობ, ყურადღებას იპყრობს ავტორის ზომიერად ზეაწეული სტილი, მოქნილი ფრაზა, მარჯვე მეტაფორა. მეცნიერი ორატორული მონაცემებითაც უზვად იყო დაჯილდოებული, რაც საკმაო იშვიათობას წარმოადგენს. მის მრავალმხრივ საგულისხმო ლექციებს, სხვა საჯარო გამოსვლებს მჭევრმეტყველების ელემენტები კიდეც უფრო მიმზიდველს ხდიდა და ინტერესს მატებდა. ნათქვამის საილუსტრაციოდ ისიც შეიძლება გამოდგეს, რომ ბატონი აკაკის ბევრი ყოფილი სტუდენტის მეხსიერებას დღემდე ლექტორის არა ერთი მხატვრული გამონათქვამი შემორჩა.

მეცნიერის პირველი ვრცელი მონოგრაფია „ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში 1917-1921 წ.წ.“ 1954 წელს გამოქვეყნდა. ამას მოჰყვა გამოკვლევა „ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის



ამიერკავკასიაში (1917-1918 წ.წ.)“ (თბ., 1957, რუსულ ენაზე) და „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში (1918-1921 წ.წ.) (თბ., 1961). მრავალი სიახლის შემცველი ამ წიგნების პრობლემატიკა იმ დროს ერთობ აქტუალური იყო. განსაკუთრებით სიმწვავით განიხილებოდა საკითხი რევოლუციური სიტუაციის არსებობა-არარსებობის შესახებ საქართველოში და სხვ. მაგრამ, რადგანაც ეს თემები დღეს სამეცნიერო ინტერესს მოკლებულია, მათზე ყურადღებას აღარ შევაჩერებ.

პროფესორ აკაკი სურგულაძის ნაშრომთა ბიბლიოგრაფია 231 პუბლიკაციას მოითვლის, რომელთა შორის ორ ათეულზე მეტი მონოგრაფიული გამოკვლევაა. მოკლედ ზოგიერთ მათგანზე:

აკაკი სურგულაძე საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორიის აღიარებული მკვლევარი იყო. ისტორიკოსი ნაყოფიერად იკვლევდა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიას. ამ კუთხით საყურადღებოა მისი წიგნი „ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა“ (თბ., 1968). მეცნიერმა „ერთ-ერთმა პირველთაგანმა, იმთავითვე დაძლია 1832 წლის შეთქმულების ცალმხრივი გაშუქების ტენდენცია და ეს შეთქმულება აღიარა XIX ს. 30-იან წლებში დაწყებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელოვან გამოვლენად. ... ნ. ბარათაშვილი წარმოადგინა შეთქმულთა იდეოლოგიის მემკვიდრედ, ამასთან ერთად, განსაზღვრა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ორი გზა XIX საუკუნის 40-50-იან წლებში“ (ე. ხოშტარია-ბროსე, აკაკი ნესტორის ძე სურგულაძე, წიგნში - აკაკი სურგულაძე. ბიობიბლიოგრაფია, თბ., 1995, გვ. 11).

სპეციალისტთა შეფასებით: აკაკი სურგულაძის წიგნში „საფუძვლიანად, სწორი მეცნიერული პოზიციებიდან გაშუქებულია XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიის არაერთი კარდინალური საკითხი და გასწორებულია ქართველთმცოდნეობაში დაშვებული ბევრი პრინციპული ხასიათის შეცდომა“ (ი. ანთელავა, საზოგადოებრივ-

პოლიტიკურ მოძრაობათა ხასიათის საკითხისათვის XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში, ჟურნ. „ცისკარი“ 1969, # 7, გვ. 149).

ამავე საკითხებს მიეძღვნა აკაკი სურგულაძის მეორე სოლიდური გამოკვლევა „ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში“ (თბ., 1974). ნაშრომმა საყოველთაო აღიარება და მაღალი შეფასება მოიპოვა. წიგნი აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემიით აღინიშნა.

აკაკი სურგულაძემ დიდი ღვაწლი დასდო ქართული ინტელიგენციის ფენომენის კვლევას. ამ რთულ პრობლემას მეცნიერის ორი წიგნი ეძღვნება: 1. „ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან“ (თბ., 1980) და 2. „ქართული დემოკრატიული ინტელიგენცია რუსეთის სამ რევოლუციაში“ (თბ., 1986). დასახელებულ მონოგრაფიებში დემოკრატიული ინტელიგენცია რევოლუციურ ბრძოლაში პროლეტარიატის მოკავშირე ძალადაა გამოყვანილია. ამ ლენინური დებულების წინა პლანზე წამოწევა ავტორის მიერ საბჭოთა რეჟიმისათვის გადახდილ ხარკად უნდა აღვიქვათ, რომელსაც იმავდროულად მაშინ დამკვიდრებული ერთგვარი ლოკომოტივის ფუნქციაც გააჩნდა. ამის მიღმა ნაშრომში ქართველი ინტელიგენცია განხილულია, როგორც ეროვნული კულტურის მთავარი შემომქმედი და გაშუქებულია მისი მოღვაწეობა და საზოგადოებრივი ღვაწლი.

როგორც აკაკი სურგულაძის ხსენებულ გამოკვლევაზე რეცენზიაში პროფესორი შოთა ხანთაძე მართებულად შენიშნავდა, წიგნი გამოკვეთდა ქართული დემოკრატიული ინტელიგენციის „იდეურ მიზანსწრაფვას, მის ეროვნულ-განმათავისუფლებელ სულისკვეთებას“. მდიდარი ფაქტობრივი მასალით ცხადყოფილი იყო, რომ ეს სულისკვეთება „კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრების ლეიტმოტივს, მის მთავარ მარღვს“ წარმოადგენდა (შ. ხანთაძე, ქართული დემოკრატიული ინტელიგენცია, ჟურნ. „კრიტიკა“, 1988, # 2, გვ. 231).



ცალკე აღნიშვნას იმსახურებს აკაკი სურგულაძის მოღვაწეობა ქართულ ენაზე საუნივერსიტეტო სალექციო კურსების მომზადების, სტუდენტთათვის გამიზნული სახელმძღვანელოებისა თუ დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემის კუთხით. მისი განსაკუთრებული ღვაწლის შედეგია სახელმძღვანელო წიგნების შექმნა და გამოქვეყნება რუსეთის ახალ ისტორიაში. სტუდენტ-ისტორიკოსთა თაობები აღიზარდნენ პროფესორ აკაკი სურგულაძის ისეთ სახელმძღვანელოებზე, როგორებიცაა: „რუსეთი XIX საუკუნის 60-80-იან წლებში,“ (თბ., „ცოდნა“, 1964), „რუსეთის იმპერია XIX საუკუნეში“ (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1973), „რუსეთი იმპერიალიზმის ეპოქაში. 1895-1917 წწ. (თბ., „განათლება“, 1966. 1983 წელს წიგნი მეორედაც გამოიცა). საერთო ჯამში 1500-ზე მეტი გვერდის შემცველი ეს სამი წიგნი, რომლებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრემიითაც აღინიშნა, რუსეთის იმპერიის ბოლო ერთ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორიას გადმოგვცემს. ისინი ძირეულ წარმოდგენას გვიქმნიან 1800-1917 წლების პერიოდის რუსეთის სახელმწიფოს როგორც დამპყრობლური ბუნების, ასევე, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ვითარების შესახებ.

თავის შემოქმედებით მოღვაწეობაში პროფესორმა აკაკი სურგულაძემ მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ქართული კულტურის ისტორიის შესწავლას და ამ კუთხით სამომავლო კვლევა-ძიების გაშლას. მისი ძალისხმევით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფუძნდა ქართული კულტურის ისტორიის სამეცნიერო ლაბორატორია, რომლის ბაზაზეც შემდგომში სათანადო კათედრაც ჩამოყალიბდა. მეცნიერმა შექმნა ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევების სამი ტომი, რომელიც ქართული კულტურის განვითარება განხილული და გაშუქებულია უძველესი დროიდან უახლეს ხანამდე. 1980 წელს რუსულ ენაზე გამოიცა აკაკი სურგულაძის გამოკვლევა „XIX საუკუნის ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევები“, ხოლო 1989 წელს დაიბეჭდა ვრცელი მონოგრაფია „ნარკვევები

ქართული კულტურის ისტორიიდან“ (წიგნი 1, რედაქტორი როინ მეტრეველი). ეს წიგნი, რომელიც ქართული კულტურის ისტორიას მისი საწყისიდან XVIII საუკუნის ჩათვლით წარმოაჩენს, ქართული კულტურის ფენომენის მსოფლიო ცივილიზაციის ჭრილში გააზრების წარმატებული ცდაა. ერთ-ერთი რეცენზენტის თანახმად, აკაკი სურგულაძემ პირველად შექმნა თავისი მნიშვნელობით მსოფლიური ქართული კულტურის ისტორიის ოპტიმალური მოდელი“ და „ცოდნის ახალი დარგის ფუძემდებლური წიგნი“ (ა. ლლონტი, ეროვნული, მონუმენტური, გაზ. „წიგნის სამყარო“, 1990 წ., 10 იანვარი). რაც შეეხება ნარკვევების მესამე ტომს, სამწუხაროდ, მას მზის სინათლე დღემდე არ უხილავს და ელოდება გამოცემას.

პროფესორ აკაკი სურგულაძის წვლილი ქართული კულტურის ისტორიის შესწავლაში აღიარებულია დასავლეთის სამეცნიერო წრეებშიც. ქართველი ისტორიკოსი „იუნესკომ“ ჩართო მასშტაბურ პროექტში, რომლის ფარგლებშიც ინგლისურ ენაზე გამოიცა „კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიის“ მრავალტომეული. ამ გამოცემის მეხუთე ტომში შესულია აკაკი სურგულაძის ნარკვევი „საქართველოს კულტურა XVI-XVIII საუკუნეებში“.

პროფესორ აკაკი სურგულაძის შთაგონების წყარო მუდამ იყო დიდი ქართველი ისტორიკოსი და თბილისის უნივერსიტეტის მესაძირკვლე ივანე ჯავახიშვილი. შემთხვევითი არ არის, რომ მეცნიერის ბინაშიც, სამუშაო კაბინეტის კედლებს ივანე ჯავახიშვილისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოტოსურათები ამშვენებდა. ბატონი აკაკი არა მხოლოდ მოესწრო აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს, არამედ ამ გამოჩენილი სწავლულის ლექციებიც მოისმინა და მისი ღირსეული დამფასებელი გახდა. აღსანიშნავია აკაკი სურგულაძის სიტყვა ივანე ჯავახიშვილის ძეგლის გახსნაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში 1953 წელს. გამოსვლას დამსწრე საზოგადოებაზე ღრმა შთაბეჭდილება მოუხდენია. თვითმხილველთა გადმოცემით, ამ სიტყვით



აღფრთოვანებულ შალვა ნუცუბიძეს ბატონი აკაკისათვის/ შუბლზე უკოცნია.

აი, ზოგიერთი ფრაგმენტი აკაკი სურგულაძის ამ სიტყვიდან: „აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა, როგორც გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა და დაულავამა საზოგადო მოღვაწემ, ხელთუქმნელი, მარადიული ძეგლი დიდებისა თავისი ერის გულში ჯერ კიდევ სიცოცხლეში დაიდგა, ხოლო ეს ბრინჯაოს მონუმენტი მის მიერ დაარსებული უნივერსიტეტის ეზოში რომ აღვმართეთ, ერის გულში დადგმული ძეგლის მატერიალურ გამოხატულებას წარმოადგენს“. „ივანე ჯავახიშვილის მრავალტომიან მეცნიერულ შრომებში ჩანს არა მარტო წარსულის პირუთვნელი მსჯავრმდებელი, არამედ ერის დიდებით ამღერებული მგოსანიც“. ივანე ჯავახიშვილმა, „რომლის შერა ქართველი ხალხის ცხოვრების სამათასწლიან ცხოვრებას გაწვდა, ... ქართველი ერი თავისი წარსული ცხოვრების მართალ სარკვეში ჩაახედა, კარები შეხსნა ხალხის ისტორიულ საუნჯეს და იგი თავის უკვდავ სტრიქონებში მთელი მასების საკუთრებად გადააქცია“.

1976 წელს, როდესაც ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან საუკუნოვანი იუბილე აღინიშნებოდა, პროფესორი აკაკი სურგულაძე მოხსენებით წარსდგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული სამეცნიერო სესიის წინაშე და ვრცლად ისაუბრა ივანე ჯავახიშვილის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებების შესახებ (ცალკე ბროშურად დაიბეჭდა რუსულ ენაზე). იმავე წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ასევე ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე გამოაქვეყნა აკაკი სურგულაძის ნარკვევი „ივანე ჯავახიშვილი: ცხოვრება და მოღვაწეობა (დაბადებიდან 100 წლისთავისათვის)“.

აკაკი სურგულაძემ 1977 წელს ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევა მიუძღვნა გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლის შესწავლა-

ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ

წარმოჩენას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასტამ-
ბულ ამ ნაშრომში ექვთიმეს ცხოვრების უწყვეტი ქრონიკაა:
გადმოცემული, გაშუქებულია დიდი ერისკაცისა და დღეს
წმინდანის ცხოვრება-მოღვაწეობის მთელი გზა, რომელიც
ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სინამდვილის ფონზეა
გაშლილი. ეს გახლდათ იმ დროისათვის ერთ-ერთი ყველაზე
სრული ნარატივი ექვთიმე თაყაიშვილის ბიოგრაფიის, მისი
ნაყოფიერი შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესახებ. თითქმის
40 წლის წინ გამოქვეყნებული და ბიბლიოგრაფიულ იშვია-
თობად ქცეული მეცნიერის ეს წიგნი კვლავაც ინარჩუნებს
აქტუალობას.

თავის დროზე კი ამ წიგნის გამოსვლის გამო, აკადემიკოსმა
გიორგი ჩიტაიამ ავტორს შემდეგი გულისხმიერი ბარათი
გაუგზავნა:

„ძვირფასო აკაკი, მივიღე თქვენი ნაშრომი „ექვთიმე
თაყაიშვილი“. დიდად მესიამოვნა, რომ ასეთი კარგი მონო-
გრაფია დაგიწერიათ იმ ადამიანზე, რომელიც ასე ბრწყინვალედ
ემსახურა თავის ერს და ფასდაუდებელი ამაგი დასდო. თქვენი
მონოგრაფიით თქვენ მეორე სიცოცხლე მიანიჭეთ
„პიროფლიანს“, მისთვის დამაშვრალს ექვთიმე თაყაიშვილს.

მონოგრაფია მდიდარია საინტერესო ექსკურსებით ექვთიმე
თაყაიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობიდან, რაც საზოგადოებ-
რივი ცხოვრების შუქზეა განხილული და შეფასებული. კარგია
მონოგრაფიის ენა - ნათელი, მსუბუქი, უბოროძიკო.

ღმერთმა ხელი მოგიმართოს თქვენს ნაყოფიერსა და
შინაარსიან მოღვაწეობაში.

თქვენი ღრმად პატივისმცემელი,
გიორგი ჩიტაია
21.12.1977“.

კარგად არის ცნობილი, ექვთიმე თაყაიშვილი იმ კუთხის
შვილი იყო, საიდანაც ბატონი აკაკი ბრძანდებოდა. როდესაც



ღირსეულ წინაპარსა და თანამემამულეს მან ასეთი ძვირფასი გამოკვლევა მიუძღვნა, ამით მშობლიურ გურუასა და მიაგო და ვალი გადაუხადა. გურულებიც არ ჩამორჩნენ და პროფესორი აკაკი სურგულაძე შემოქმედის სახალხო აკადემიის რექტორად, და ასევე, სოფელ შემოქმედის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

აღსანიშნავია აკაკი სურგულაძის კვლევები ილიასმცოდნეობაში და ამ მიმართებით გამოქვეყნებული მისი ნაშრომები.

1987 წელს შესრულდა 150 წელი ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან. საიუბილეო თარიღი საქართველოში მასშტაბურად აღინიშნა. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ დიდი მწერალი, მოღვაწე და მოაზროვნე წმინდანად შერაცხა. საბჭოთა სინამდვილეში ეს ერისკაცის კანონიზაციის პირველი ფაქტი იყო. საზოგადოებამ ეკლესიის გადაწყვეტილება კმაყოფილებით და მოწონებით აღიქვა. ერის დიდი მოძღვრის საიუბილეოდ გამოიცა რუსულ ენაზე დაწერილი აკაკი სურგულაძის წიგნი „ილია ჭავჭავაძე: ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე“.

ნაშრომში ილია ჭავჭავაძის მხატვრული თუ პუბლიცისტური მემკვიდრეობა საქართველოს ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის ჭრილშია განხილული და ილია, სრულიად სამართლიანად, ამ მოძრაობის შეუცვლელ წინამძღოლადაა დასახელებული.

საყოველთაოდ ცნობილია, ადამიანების, მითუფრო აღიარებულ მეცნიერთა, შემოქმედ მოღვაწეთა სახელი და ღვაწლი ერისათვის კრიზისულ სიტუაციებში მათ მიერ გამოხატული პოზიციით, ქცევითა თუ მოქმედებითაც ფასდება. ამ მხრივ ბატონი აკაკის ბიოგრაფია სრულიად ჯანსაღი და ბევრი მისი თანამედროვისაგან განსხვავებით, სამაგალითოა. სანიმუშოდ რამდენიმე ეპიზოდს დავიმოწმებ:

1956 წლის მარტის მღელვარე დღეები საქართველოში ერთგვარი ტესტი აღმოჩნდა რესპუბლიკის როგორც პოლი-



ტიკური ხელმძღვანელობის, ისე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის, პროფესურისა თუ სტუდენტთა გაზრდობისათვის. სწორედ განათლების, კულტურისა და მეცნიერების ეს კერა - მაშინ ჯერ კიდევ სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი იქცა მოძრაობის თაოსნად და წარმმართველად.

დოცენტი აკაკი სურგულაძე იმ დროს უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი გახლდათ. 9 მარტს ხალხმრავალი მანიფესტაციის სისხლში ჩახშობის შემდეგ უშიშროების ორგანოებმა ათეულობით სტუდენტი დააპატიმრეს და უმაღლესი სასწავლებლების მესვეურთაგან მათი დახასიათებები მოითხოვეს. უარყოფითი დახასიათებების შემთხვევაში ციხის იზოლატორში გამომწყვდეულ ახალგაზრდებს, როგორც ბრალი, ისე სასჯელი გაუმკაცრდებოდათ. რომ იტყვიან, ბატონი აკაკი პირდაპირ გადაეფარა თავის სტუდენტებს და არც ერთი მათგანისათვის რეჟიმის თვალში დანაშაულის დამამძიმებელი დახასიათება არ მიუცია. ამისათვის თვითონ კი შევიწროება განიცადა, მაგრამ სხვები რეპრესიებს გადაარჩინა და ისტორიის წინაშე პირნათელი დარჩა. ლევან სანიკიძის სიტყვით თუ ვიტყვით, აკაკი სურგულაძემ „შეურცხვენელი სიცოცხლით იცხოვრა სირცხვილის ცდუნებით აღსავსე ჩვენს თანადროულ წუთისოფელში“.

1956 წლის 19 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პარტიული ორგანიზაციის დახურული კრება გაიმართა, რომელსაც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მჭავანაძე და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი პირებიც დაესწრნენ. ეს იყო უნივერსიტეტის პირველი საერთო კრება 9 მარტის ტრაგედიის შემდეგ. მოხსენება „ი. ბ. სტალინის სახელობის თსუ პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ“ ვასილ მჭავანაძემ გააკეთა.

კამათის მონაწილე უნივერსიტეტის ბევრი პროფესორ-მასწავლებელი თვითკრიტიკით, რექტორატისა და პარტიული კომიტეტის მუშაობის ნაკლოვან მხარეთა მხილებით გამოვიდა.




მაგალითად, ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადა: „იმის მიზეზი, რომ უნივერსიტეტში პარტიული ორგანიზაციის მუშაობა დავიდა ნულამდე იყო ის, რომ უნივერსიტეტში მთელი რიგი წლების განმავლობაში გამეფებული იყო პიროვნების კულტი. ... კეცხოველშინა ეს იყო პიროვნების კულტის გამოვლინება ჩვენს უნივერსიტეტში. ... კეცხოველს რომ გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი უნივერსიტეტის მუშაობაში, ცხადია, მაგრამ მე ვლაპარაკობ მუშაობის იმ სტილზე, რომელმაც ჩვენ დიდი ზიანი მოგვიტანა. ... იმ დროიდან დაიწყო პარტიული კომიტეტის როლის დაკარგვა, მან დაკარგა თავისი სახე, არაფერში იგრძნობოდა პარტიული ხელმძღვანელობა. პარტიული კრებები არ ტარდებოდნენ წესიერად“ და სხვ. (შს სამინისტროს არქივი, ფ. 14, ანაწ. 4, საქმ. # 111, ფურც. 102-103).

ამ ტიპის დაბეზლებისაგან სრულიად გამოირჩეოდა ისტორიის ფაკულტეტის დეკანის გამოსვლა. აკაკი სურგულაძის სიტყვა გამსჭვალული იყო ისტორიის ფაკულტეტზე, მის პროფესურასა და სტუდენტებზე, ზოგადად უნივერსიტეტის მომავალზე ზრუნვით.

პირველი რიგის საკითხად დეკანმა კონტიგენტის საკითხი გამოყო და გააკრიტიკა საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილება, რომელიც 50-ის ნაცვლად, მომდევნო სასწავლო წლიდან 25 სტუდენტის მიღებას ითვალისწინებდა. თუ ისტორიკოსთა კონტიგენტი არ გაიზარდა, მოკლე ხანში საკმარისი სპეციალისტები აღარ გვეყოლებაო და დასძინა: უფრო მიზანშეწონილი იქნება, ისტორიკოსთა კადრებს ამზადებდეს არა სხვა უმაღლესი სასწავლებლები, არამედ უნივერსიტეტი, სადაც თავმოყრილია პროფესორ-მასწავლებელთა საუკეთესო კადრები.

ბატონი აკაკი შემდეგ შეეხო საქართველოს ისტორიის კათედრის ბედს. მისი სიტყვით: „საქართველოს ისტორიის კათედრა ჩვენი უნივერსიტეტის პირმშოა, მაგრამ დღეს ეს კათედრა ლიკვიდაციის წინაშე დგას. ჩვენ მივიღეთ ტიპური გეგმა, სადაც ამ საგნის სწავლებისათვის გათვალისწინებულია 104 საათი. ამის შესახებ ... საკითხი დავსვით უმაღლესი





განათლების მინისტრის პროკოფიევის წინაშე, მაგრამ მან უარი განაცხადა, რაიმე შესწორება მოგვეხდინა იმ მოტივით, რომ ტიპური გეგმა ყველა უმაღლესი სასწავლებლისთვის აუცილებელია და სავალდებულო. მაგრამ ამ გეგმით მუშაობა გვიქადის ახლო მომავალში მთელი რიგი კათედრების გაუქმებას, მათ შორის ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის და სხვ. ეს ღონისძიება რომ გატარდეს, ჩვენ ვერ განვახორციელებთ მეექვსე ხუთწლედის წინაშე დასახულ ამოცანებს და ეს იქნება ჩვენი დიდი დანაშაული. ... მიმაჩნია, რომ საქართველოს ისტორიის კათედრის არსებობა აუცილებელია და უნდა დავიცვათ იგი“.

აკაკი სურგულაძემ შემდეგ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის საქმიანობაში ხარვეზების გამოსასწორებლად საჭიროა სიმშვიდე და მუშაობისათვის ნორმალური პირობები, „მაგრამ ჩვენს უნივერსიტეტში არიან ისეთი პირები, რომლებიც როგორც ჩვენს პროფესორ-მასწავლებლებს, ასევე სტუდენტებსაც ანერვიულებენ. მათ შეუძლიათ ჩვენს სტუდენტობას და პროფესორ-მასწავლებლებს მიაწერონ სხვადასხვა „იზმები“, წამოაძახონ, „უნივერსიტეტი მენშევიზმის ბუდეაო“ და სხვ. ეს ხშირად დერეფნებში ხდება ხოლმე და მათ თანამგრძობნიც ყავთ. ... ეს „კრიტიკოსები“ ... ცილს სწამებენ ჩვენს მეცნიერ-მუშაკებს, აღიზიანებენ მათ და საქმისათვის სარგებლობა არ მოაქვთ.

ამას მე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ საბრალმდებლო სკამზე ამ ადამიანების მიერ ისტორიკოსები აღმოჩნდებიან ხოლმე. რა ფაქტები აქვთ მათ? ის, რომ საქართველოს ისტორიკოსები წერენ საქართველოს ძველ ისტორიაზე. მაგალითად, გამოვიდა წიგნი საქართველოს ძველ ისტორიაზე - და ისინი ფიქრობენ, რომ ეს გადახრაა. მაგალითად, თუ მეთორმეტე საუკუნის შესახებ მონოგრაფია დაწერე, მათი აზრით, ეს არის ნაციონალიზმი. ეს არის ჩვენი მეცნიერული მუშაობის გაუბრალოება, გაპრიმიტიულება. საქმე ის კი არ არის, თუ რას სწერ, საქმე ის არის, თუ როგორ სწერ. განა ცოტაა ისეთი ფაქტები ჩვენს ისტორიაში, რომელთაც ახალი გაშუქება ესაჭიროებათ? ... მაგალითად, რუსეთში ხშირად სწერენ სტატიებს, შრომებს



ვლადიმირის, მოსკოვის, ტვერის მთავართა ისტორიის შესახებ, მაგრამ ჩვენთან რომ პეტრე იბერზე რაიმე დაწერო, ეს უნდა იქნას ნიშნავს, რომ ცაზე ნაციონალისტური ღრუბელი ჩნდება. ასეთი დამოკიდებულება ამ დიდი საქმისადმი გვაძლევს საფუძველს, შევაფასოთ ეს პოზიცია, როგორც ნაციონალისტურ-ნიჰილისტური, რაც არ არის გამართლებული“ (შს სამინისტროს არქივი, ფ. 14, ანაწ. 4, საქმ. # 111, ფურც. 105-110).

ზემდგომ ინსტანციებში აკაკი სურგულაძის პოზიცია დიდად არ მოეწონათ. ეს რომ ასე იყო, მოწმობს იმავე წლის 16 ივნისს გამართული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხი ისტორიის ფაკულტეტის მუშაობის შესახებ (პარტკომი კარლო გარდაფხაძე).

როგორც აქამდე უცნობი საარქივო მასალით ირკვევა, გამოითქვა რიგი კრიტიკული შენიშვნა ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს, დეკანატის, ზოგიერთი კათედრის მუშაობის ნაკლოვან მხარეებზე და სხვ. ხაზგასმით აღინიშნა, რომ „პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ცუდი მუშაობის შედეგად, მეტად დაბალ დონეზე დგას ახალგაზრდობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, რომელმაც თავისი გამოვლინება ჰპოვა მიმდინარე წლის 5-9 მარტს ქ. თბილისში მომხდარ ამბებში, სადაც უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის აშკარად გამოირჩეოდა ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტთა აქტიური მონაწილეობა“.

პარტკომის დადგენილებაში ჩაიწერა: „4. დაისვას საკითხი უნივერსიტეტის რექტორატის წინაშე:

ბ.) სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და სტუდენტთა შორის დისციპლინის არადაამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის აშხ. ა. სურგულაძის ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ“ (შს სამინისტროს არქივი, ფ. 14, ანაწ. 4, საქმ. # 114, ფურც. 172, 176).

აქვე დავძენ, რომ 9 მარტის ტრაგედიის გამო მოსალოდნელი იყო, რომ საზოგადოებაში დეპრესიასა და პესიმისტურ



განწყობას ემძლავრა. ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო რაიმე მოემოქმედათ და ხალხი სულიერად გამომხსნეებიანათ. ცნობილ ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა წინადადებით, რომელთა შორის ბატონი აკაკი სურგულაძეც იყო, 1958 წლის შემოდგომაზე დიდი ზეიმით აღინიშნა თბილისის დაარსების 1500 წლისთავი. ეს პატრიოტული დღესასწაული, რომელიც სამ დღეს გაგრძელდა, იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ იგი საქართველოში დაიგეგმა და კრემლისაგან ნებადაურთველად მოეწყო. საკუთარი დედაქალაქის იუბილის „დამოუკიდებლად“ აღნიშვნით ქართველობა თავისებურ პროტესტს გამოხატავდა ცენტრის ძალადობისა და დიდმპყრობელობის წინააღმდეგ.

1978 წლის აპრილში, საქართველოს კონსტიტუციის პროექტიდან ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის ამოღების გამო, უნივერსიტეტი დიდმა ვნებათაღელვამ მოიცვა. ბატონი აკაკი უკვე ფაკულტეტის ხელმძღვანელი აღარ იყო, მაგრამ უნივერსიტეტში წონადი სიტყვა ეთქმოდა და თქვა კიდევაც კრემლიდან მომდინარე ამ საფრთხის შესაჩერებლად. კარგად მახსოვს, მაშინ ისტორიის ფაკულტეტის ბოლო კურსის სტუდენტს, სადიპლომომ ნაშრომს ბატონი აკაკის ხელმძღვანელობით რომ ვაძუადებდი, როგორ შემირჩია ციტატები ლენინის ტომებიდან, რომ კრებაზე გამოსვლისას იმპერიის კომუნისტ ლიდერთა დასაგმობ განზრახვას მათივე ბელადის ნააზრევით დავპირისპირებოდი.

როდესაც გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩვენში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ტალღა აზვირთდა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესის მესვეურობა ქართველმა ინტელიგენციამ მოინდომა. ამ მოვლენის განმაპირობებელი ფაქტორები საქართველოს განვითარების სპეციფიკაშია საძიებელი. ცნობილია, რომ წარსულში ეროვნული წინმსვლელობისათვის ბრძოლას ბევრ, დღეს დაწინაურებულ ქვეყანაში ადგილობრივი ბურჟუაზია მეთაურობდა. საქართველოში კი საქმე სხვაგვარად იყო: იმის გამო, რომ მე-19



საუკუნეში ჩვენ არ გვყოლია ეროვნული ბურჟუაზია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით (საქართველოში წარმოშობილ ისედაც მცირერიცხოვან ბურჟუაზიულ ფენას ძირითადად ეთნიკურად არაქართული ელემენტი შეადგენდა), კოლონიური უღლისაგან განმათავისუფლებელი მოძრაობის მესაჭეობა ჩვენში სხვა ძალამ - ინტელიგენციამ იკისრა. მომდევნო პერიოდშიც, იმის გამო, რომ საბჭოურ იმპერიაში ინკორპორირების, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მარცხისა და დიდი რეპრესიების შედეგად საქართველოში სრულად იქნა ლიკვიდირებული ყოველგვარი ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტია თუ ჯგუფი, ეროვნული მოძრაობის გაძლიერება პატრიოტული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა - მწერლებმა, მეცნიერებმა და სხვ. ითავეს. ინტელიგენციამ თავის მოწოდება სრულიად ახალ რეალობაშიც ძველებურად გაიაზრა და შეეცადა მოძრაობისათვის ზომიერი, მშვიდობიანი მიმართულება მიეცა. მაგრამ ისე მოხდა, რომ ქვეყანაში ხელახლა აღმოცენებულმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა და სხვა არაფორმალურმა გაერთიანებებმა, განსხვავებით ბალტიის ქვეყნებისაგან, ინტელიგენტურ ელიტას ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელობა აღარ დაანებეს. თანამედროვე გადასახედიდან მაინც, ალბათ შეიძლება თქმა, რომ ინტელიგენციის ფრთხილ და გონივრულ მოქმედებას შეეძლო ქვეყანა ეხსნა თავსდატეხილი კატაკლიზმებისაგან, რომელთა შედეგები, სამწუხაროდ, დღემდე არ არის აღმოფხვრილი.

ამასთან დაკავშირებით მინდა მოვიგონო ერთი ეპიზოდი, რომელიც ბატონ აკაკის უკავშირდება.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის მეორე დღეს, ცნობილი ქართველი მწერალი ოთარ ჭილაძე წერდა: „ჩვენ შემოქმედი ხალხი ვართ და დაღუპვის უფლება არა გვაქვს“. იმავე პერიოდში, როცა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ერთგვარად რადიკალური მიმართულება მიიღო, პროფესორი აკაკი სურგულაძე თავის კოლეგებისა და მოწაფეების წრეში დაუფარავად ამბობდა: „ისე უნდა ვიმოქმედოთ, რომ იმპერიის

ნანგრევებში არ მოვყვეთო“. ალბათ, სხვებიც გაიხსენებენ, პირადად მე კი ბატონი აკაკისაგან თქმული ეს ფრაზა უნივერსიტეტის პირველ კორპუსში, მეორე სართულის შიგთნა ტრადიციული საუბრებისას, არაერთხელ მომისმენია.

აქვე დავძენ, რომ მსგავსი აზრი ჯერ კიდევ 1905 წელს დიდმა სამოციანელმა ნიკო ნიკოლაძემ შემდეგნაირად გამოთქვა: საქართველოს დაწყებული რევოლუციის არც გაძლიერება და არც შეჩერება არ შეუძლია. „არც საჭიროა ჩვენის მხრით მიწას ვებლაუჭოთ მის შესაძრავად. უამისოდაც, უმსხვერპლოდაც, შეგვიძლია, თუ არ დავიბენით, ვნებას ავცდეთ და უმჯობესი მომავალი დავიმკვიდროთ“ (ქურნ. „კლდე“, 1913, # 37-38).

კომუნისტური რეჟიმის ბოლო წლებში, როდესაც საქართველოს ხელისუფლებასა და ეროვნული მოძრაობის რადიკალურ ნაწილს შორის კონფრონტაცია საეჭვოდ გაღრმავდა, აკაკი სურგულაძემ ამ მოვლენაში სამოქალაქო ომის საფრთხე დაინახა, მაღალი ტრიბუნიდან გაბედულად ამხილა იგი და მხარეებს კეთილგონიერებისაკენ მოუწოდა. მეცნიერის წინასწარჭკვრეტა გამართლდა, მისი შეგონება კი, სამწუხაროდ, არავინ შეისმინა.

აკაკი სურგულაძე იყო პირველი, ვინაც ჯერ კიდევ საბჭოურ სინადვილეში დააყენა ნოე ჟორდანიას რეაბილიტაციის საკითხი. იგი მაგალითად გიორგი პლახანოვს იშველიებდა, რომელიც ასევე უარყოფითად შეხვდა ბოლშევიკურ რეჟიმს, მაგრამ რუსეთში არ უარყვიათ პირველი რუსი მარქსისტის სახელი. გამოიცემოდა მისი, როგორც საერთაშორისო მუშათა და სოციალისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის ნაწერები, შეისწავლებოდა მემკვიდრეობა და სხვ.

ნოე ჟორდანია რომ დიდი ეროვნული მოღვაწე არ ყოფილა და მასში ერისკაცს მუდამ პარტიული ლიდერი სძლევდა, ეს ბატონ აკაკის კარგად მოეხსენებოდა. მიუხედავად ამისა, მეცნიერი სრულიად სამართლიანად მოითხოვდა ნოე ჟორდანიას სახელის დაბრუნებას ჩვენს ისტორიაში, საიდანაც იგი საბჭოთა ცენზურის მიერ ამოშლილი იყო. აქვე უინტერესო არ



იქნება აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ქართველი სწავლულის მათ შორის აკაკი სურგულაძის ვითომ „პროჟორდანიასეული მეცნიერ-ვიკური“ განწყობილებები საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომებზე განიხილებოდა და ამ მეცნიერებს მკაცრი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ.

ცხადია, ბატონი აკაკი პირდაპირ ვერ იტყოდა, თორემ ჟორდანიას სახელის გაცოცხლება ქართველთა ცნობიერებაში ირიბად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხსოვნის გაღვიძებასაც ნიშნავდა და მთავარი და არსებითიც ეს უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, ხელისუფლებამ მაშინ ეს წინადადება არ გაითვალისწინა.

პროფესორ აკაკი სურგულაძეს საქართველოს ახალი ისტორიის მკვლევარს, ბუნებრივია, აინტერესებდა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თემა, თუმცა უცხოეთში გახიზნულ თანამემამულეებთან უშუალო კავშირის შესაძლებლობა მეცნიერს მხოლოდ 1989 წელს მიეცა, როდესაც პროფესორ ილია ტაბაღუასთან და დოცენტ პაატა სურგულაძესთან ერთად სამეცნიერო მივლინებით საფრანგეთს ეწვია. ამ დროს ემიგრაციის პირველი ტალღიდან ცოცხალი აღარავინ იყო. მეცნიერი მათი მომდევნო თაობის წარმომადგენლებს ვიქტორ ხომერის, ლევან ფადავას, გიორგი წერეთელს, მამია ბერიშვილს, გიორგი ნოზაძეს, პავლე ვაშაძეს და სხვ. შეხვდა. ბატონ აკაკის მიერ ჯანრი კაშიასათვის პარიზში მიცემული ინტერვიუ რადიო „თავისუფლებამ“ გადასცა, ხოლო ლევილში, 1924 წლის აჯანყების მსხვერპლთა მოსაგონრად წარმოთქმულ მის სიტყვას ფურცლები ემიგრანტულმა ჟურნალმა „გუშაგმა“ დაუთმო. ცნობილია ასევე, რომ საფრანგეთიდან სამშობლოში დაბრუნებულმა მკვლევარმა თავისი პარიზული შთაბეჭდილება გაზეთ „კომუნისტში“ გამოაქვეყნა სახელწოდებით: „იქ პატარა საქართველოში“.

1988 წელს რესპუბლიკურ პრესაში დაიბეჭდა პროფესორ აკაკი სურგულაძის სტატია „ნისლი გადაიწმინდა“. მასში მცენიერმა საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორიის ახლებურად გააზრების გეზი დასახა. იგი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც საქართველოს ახლო წარსულისადმი კომუნისტური მიდგომა გადააფასა და პაატა სურგულაძის თანაავტორობით 1991 წელს გამოსცა ნაშრომი „საქართველოს ისტორია. საკითხავი წიგნი. 1783-1990“. წიგნი, რომელმაც დიდი პოპულარობა მოიპოვა, კარგა ხანს ჩვენს საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში დამხმარე სახელმძღვანელოს როლსაც ასრულებდა.

აკაკი სურგულაძე სხვა არაერთი სამეცნიერო-პოპულარული წიგნის ავტორიცაა, მათ შორის: „დიდი რუსი მხედართმთავრები“ (თბ., 1954), „დეკაბრისტები“ (თბ., 1975), „თბილისის უნივერსიტეტი და ქართული კულტურა“ (თბ., 1968) და სხვ.

აკაკი სურგულაძე ფართო სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. ამ საქმიანობის ერთ მნიშვნელოვან სფეროს ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან შეადგენდა საჯარო ლექციები საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით. ბატონ აკაკის საზოგადოების ისტორიულ-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარეობაც ჰქონდა დაკისრებული. აღსანიშნავია რომ თბილისში წაკითხული მეცნიერის რამდენიმე ლექცია ცალკე ბროშურადაა გამოცემული, მაგალითად: „ამერიკელი და ინგლისელი დამპყრობლები საქართველოში 1918-1920 წლებში“ (თბილისში წაკითხული საჯარო ლექციის სტენოგრამა, თბ., 1952) და „რუსეთთან უკრაინის შეერთება და მისი ისტორიული მნიშვნელობა. ლექცია I და II“ (თბ., 1954). საზოგადოება „ცოდნის“ მიერ არის დასტამბული აკაკი სურგულაძის ნარკვევიც „1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა“ (თბ., 1982).

პროფესორი აკაკი სურგულაძე „ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების“ ერთ-

ერთი დამფუძნებელი და ამ ორგანიზაციის თბილისის განყოფილების თავმჯდომარე იყო.

აკაკი სურგულაძე მონდომებით ზრუნავდა ისტორიკოსთა მომავალი თაობების აღზრდაზე. პირადად მისი მეცნიერული ხელმძღვანელობით მომზადდა და დაცულ იქნა ათზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. ბატონი აკაკის ხელდასმით შეაბიჯა საისტორიო მეცნიერებაში არაერთმა მკვლევარმა ისტორიკოსმა, მათ შორის: პროფესორებმა ავთანდილ მენტეშაშვილმა, მერაბ ვაჩნაძემ, ოთარ ჯანელიძემ და სხვებმა.

პროფესორ აკაკი სურგულაძესთან სტაჟირებას გადიოდა მრავალი სპეციალისტი სსრკ და საზღვარგარეთის სხვადასხვა უნივერსიტეტიდან, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებიდან და პოლონეთიდან. მნიშვნელოვანი კონსულტაციები აქვთ მისგან მიღებული ცნობილ უცხოელ ისტორიკოსებს რონალდ სუნისა და სტივენ ჯონსს.

ბატონი აკაკის ქართული საისტორიო სკოლა არაერთგზის ღირსეულად წარუდგენია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა თუ სიმპოზიუმზე, რომლებზეც საყურადღებო მოხსენებებით გამოსულა. 1975 წელს იგი მონაწილეობას იღებდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალაქ სან-ფრანცისკოში გამართულ ისტორიკოსთა მეთოთხმეტე მსოფლიო კონგრესის მუშაობაში.

აკაკი სურგულაძე იყო არაერთი დროებითი სახელმწიფო კომისიის წევრიც. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დამდგენი და 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების შემსწავლელი კომისიები. ამ უკანასკნელში ბატონი აკაკი თავმჯდომარის მოადგილე გახლდათ. მისი უშუალო მონაწილეობით მომზადებული დოკუმენტის საფუძველზე საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ

მიიღო დადგენილება, რომელშიც აღინიშნა: „1921 წელს თებერვალში საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება, სამართლებრივი თვალსაზრისით, წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობის დამხობის მიზნით, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით - ფაქტობრივ ანექსიას“.

აუცილებლად მიმაჩნია ორიოდე სიტყვის თქმა ბატონი აკაკის ოჯახზე: მისი ცხოვრების თანამგზავრი, ქალბატონი ეთერი მათეშვილი სანიმუშო მეუღლე, დედა და მეცნიერის დიდად ხელშემწყობი პიროვნება იყო. ბატონი აკაკის მეგობრებს, კოლეგებს, მის მოწაფეებს არ დაავიწყდებათ ქალბატონი ეთერის ყურადღებიანი შეხვედრები, ღიმილით აღსავსე და გულდია მასპინძლობა. ბატონმა აკაკიმ და ქალბატონმა ეთერიმ სამი შვილი აღზარდეს ქვეყანას. ქალბატონი მედეა ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი და ინგლისურ-ქართული კულტურული ურთიერთობების მკვლევარია; პაატა აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსია და წარმატებით იკვლევს საქართველოს, ირანის და მახლობელი აღმოსავლეთის ახალ და თანამედროვე ისტორიის საკითხებს. მას დიპლომატიურ ასპარეზზეც მოუხდა მოღვაწეობა. რაც შეეხება მერაბს - მან ისტორიკოსობას ეკონომისტობა არჩია. რაოდენ გულდასაწყვეტია, რომ დღეს იგი ჩვენს შორის აღარ არის.

ბატონი აკაკი თვითონაც ჩინებული მეოჯახე ბრძანდებოდა. სტუმარი არასოდეს კლებია და მასპინძლობაც ეშხიანი იცოდა. ქართული სუფრის მადლიც მოეხსენებოდა და თავად ცნობილი მეღვინის სიძეს, არც კარგი ღვინის ფასი ესწავლებოდა. როგორც ყოველ გურულს, მოსწრებული, მახვილგონივრული სიტყვა გამოარჩევდა.

საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს ფაქტი, რომ 1986 წელს აკაკი სურგულაძემ თავისი მასწავლებლებისა და მეგობრების ხსოვნას მიუძღვნა წიგნი სახელწოდებით: „არ დავიწყება მოყვრისა“. სიყვარულით, სითბოთი და გულისხმიერებით



გამსჭვალაულ ამ ნაშრომში ქართული ისტორიოგრაფიის ისეთი წარმომადგენლების შემოქმედებითი პორტრეტებია გამოძერწილი, როგორებიც არიან: ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, სიმონ ჯანაშია, მიხეილ პოლიევქტოვი, შალვა ამირანაშვილი, ალექსანდრე წერეთელი, იასე ცინცაძე, შოთა მესხია, დავით გვრიტიშვილი, გივი კილურაძე, ირაკლი ანთელავა და სხვ.

აკაკი სურგულაძისათვის ზოგადად უცხო იყო ფამილარული ურთიერთობები. მას არ ჩვეოდა ზედმეტი გაშიანურება არც კოლეგებთან და მითუფრო სტუდენტ-ახალგაზრდობასთან, თუმცა ეს ხელს არ უშლიდა, ყოფილიყო გულისხმიერი და სხვათა ტკივილის გამზიარებელი. ნათქვამის საილუსტრაციოდ დავიმოწმებ ნაწყვეტს უნივერსიტეტის ერთ-ერთი ყოფილი სტუდენტის წერილიდან, რომელიც მეცნიერის პირად არქივს შემორჩა. 1963 წლით დათარიღებულ ამ წერილში, გასაჭირში ჩავარდნილი ახალგაზრდა კაცი პროფესორ აკაკი სურგულაძეს მიმართავს:

„ყველა თქვენი სტუდენტის თვალში, ფაკულტეტის დეკანი აკაკი სურგულაძე წარმოადგენდით მეცნიერს, რომელიც პრინციპულად ვერ ითმენდით ახალგაზრდობისადმი უსულგულო დამოკიდებულებას.... თქვენში - დაწერილი მეცნიერული ტომების გვერდით, [სტუდენტობა] ხედავს ეროვნული მოქალაქეობრივი კოდექსის განსახიერებას....“

ჩემი უნივერსიტეტში ყოფნის 5-წლიან პერიოდში და მას შემდეგ ყოველთვის მიგრძენია თქვენი მამომზრივი დახმარება, როგორც მეცნიერისაგან, ხელმძღვანელისა და ადამიანისაგან....

იმდენი პატივისცემა და მზრუნველობა მახსოვს თქვენგან, რომ ამჟამად თქვენი შეწუხება ძალიან მეძნელებოდა, მაგრამ მე დიდი სურვილი მაქვს, რომ ცხოვრებაში ვიყო სასარგებლო ადამიანი, მოქალაქე - და ამ საქმეში გაგიწევიათ თქვენ ჩემთვის სამსახური და უმორჩილესად გთხოვთ ერთხელ კიდევ დამეხმაროთ თქვენი მეცნიერული სინდისისა და ქართული მამულიშვილობის სასიქადულოდ“.

არ ვიცი, შეძლო თუ არა ამ პიროვნებისთვის დახმარება ბატონმა აკაკიმ, მაგრამ ის ფაქტი, რომ ყოფილ სტუდენტს თავისი პროფესორი კვლავაც ასე ეიმედება და მას მიმართვას, მრავლისმეტყველია.

უფროსი თაობის კოლეგებს ახსოვთ, ბატონმა აკაკიმ უარი თქვა დაბადებიდან 70 და 75 წლისთავეების განსაკუთრებულ აღნიშვნაზე. თუმცა ისტორიკოსთა საზოგადოების წარმომადგენლებმა ეს თარიღები უყურადღებოდ არ დატოვეს და ღვაწლმოსილ მეცნიერს მისალოცი მიმართვები თბილისის საელმწიფო უნივერსიტეტში გაუგზავნეს. ოფიციალურად ბატონი აკაკის იუბილე მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდგომ, 1994 წელს აღინიშნა. იმ რთული ზაფხულის დღეებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოებამ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ აკაკი სურგულაძის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძენილი სამეცნიერო სესია გამართეს. თბილისში ილია ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე სახლზე, რომელშიც 1953 წლიდან ცხოვრობდა გამოჩენილი ისტორიკოსი, გაიხსნა მემორიალური დაფა.

ბატონი აკაკი ერთგან შენიშნავდა: „მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის გზა ძნელადსავალი და ვიწრო გზაა, მაგრამ ამასთანავე, იგი ხალხის გულისაკენ, უკვდავებისაკენ მიმავალი გზაც არისო“. ეს ძნელადსავალი გზა მან ღირსეულად განვლო, ამ ქვეყნიდან სრულიად ვალმოხდილი, კაცური კაცის სახელით წავიდა, ცოცხლად დარჩენილთ კი სააზროვნოდ და განსასჯელად თავისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას: რომ დასცლოდა, კიდევ არაერთი საჭირო და სასარგებლო საქმით, სიტყვით თუ აზრით წადგებოდა თავის სამშობლოს. მაგრამ, როგორც ბრძენკაცი ილია ჭავჭავაძე ამბობდა, „მთავარი ის კი არაა რა არ გაგიკეთებია, მთავარია რა გააკეთე“.



აკაკი სურგულაძე იენის უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას



აკაკი სურგულაძე



ივანე ჯავახიშვილის ძეგლის გახსნა თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეზოში 1953 წელს. სიტყვით გამოდის
კორნელი კეკელიძე, მის უკან დგანან: რექტორი ნიკო კეცხოველი
და ისტორიის ფაკულტეტის დეკანი აკაკი სურგულაძე

სურგულაძე აკაკი სურგულაძე ივანე ჯავახიშვილის ძეგლის გახსნა



იოსე ცინცაძე და აკაკი სურგულაძე



დავით გვრიტიშვილი, კარლო ჭელიძე, აკაკი სურგულაძე,
გივი კილურაძე



აკაკი სურგულაძე, ლევან მენაბდე, შოთა მესხია (1963 წ.)



შოთა მესხია, ევგენი ხარაძე, თინა შრევლიშვილი, აკაკი სურგულაძე



თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის სსრკ ისტორიის კათედრა



აკაკი სურგულაძე, ირაკლი აბაშიძე, გიორგი ჩიტაია, ანდრია აფაქიძე, მარიამ ლორთქიფანიძე. ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ.



ადამიანი ჩემთვის უფრო
ზედან ანდანი უფრო მეტი.
1983 წლის 15 იანვარი

კარლო მეშველიანი, ლადო გუდიაშვილი, აკაკი სურგულაძე,
თენგიზ ფერაძე სტუმრად ლადო გუდიაშვილთან.



შოთა ძიმიგური, აკაკი სურგულაძე, მარიამ ლორთქიფანიძე



აკაკი სურგულაძე და გიორგი მელიქიშვილი ისტორიკოსთა
მსოფლიო კონგრესზე სან-ფრანცისკოში (1975 წ.)



დავით ჩხიკვიშვილი, შოთა ავაქიმე და აკაკი სურგულაძე სტუმრად
გერმანულ კოლეგებთან იენის უნივერსიტეტში




გურამ ლორთქიფანიძე და აკაკი სურგულაძე ვარძიაში



სერგო ჯორბენაძე, იოსებ მეგრელიძე, აკაკი სურგულაძე
 სტუმრად გურიაში «ექვთიმოზაზე» (1983 წ.)



მიხეილ გაფრინდაშვილი, იური კაჭარავა, ანდრია აფაქიძე,
 აკაკი სურგულაძე, ლევან თოიძე ახალგაზრდა
 ისტორიკოსებთან ერთად (1983 წ.)



ილია ტაბალუა, აკაკი სურგულაძე,
 კეტრინ, ტიერი და მამია ზერიშვილები ლევილში



ეთერი და აკაკი სურგულაძეები გაგრაში



აკაკი სურგულაძე ოჯახთან ერთად

13/1490

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რედაქტორი აკადემიკოსი როინ მეტრეველი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
სტამბა
თბილისი – 2013
რუსთაველის გამზ. 52

Georgian National Academy Press
Tbilisi – 2013
52, Rustaveli Ave.

K 291.819
3
ՅԵՐԱՅԱՆ
ՆՈՅՆԻՄՈՅԵՅ